

შპს,,საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების,კვლევის და ექსპერტიზის ცენტრი“ LTD “THE SCIENTIFIC CENTER OFINGINEERING BUILDINGDESIGNING RESEARCH AND EXPERTISE

tel:577588218 599179823(032)2227704

21.10.2024.2024-452-




საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ძოწის ქუჩა #2 საკ.კოდი 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთი მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.007.219 -მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.007.075 -. მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.002 - მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.098 - მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.096 - მ და ძოწის ქუჩაზე შესაძლო გავლენის შესახებ

,

.თბილისი

2024წელი

ვამტკიცებ:შპს,,საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ დირექტორი

დემურტაბატაძე

08.10.2024

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ძოწის ქუჩა #2 საკ.კოდი 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთი მიწის ნაკვეთი ს/კ მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.007.219 -01.14.01.007.075 -. მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.002 - მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.098 - მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.096 - მ და ძოწის ქუჩაზე შესაძლო გავლენის შესახებ

შემსრულებელი:

ექსპერტი,პროფესორი დ.ტაბატაძე

ქ.თბილისი

2024 წელი

შემადგენლობა

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3

გამოყენებული აპარატურა 3

გამოყენებულილი ტერატურა 4

კვლევითი ნაწილი 4

დასკვნა 13

გამოყენებულიაპარატურა

ლაზერულიმანძილმზომი„STANLEYTLM3000“№1-77-930;

ციფრულიფოტოაპარატი„FUJIFILM”№1WR51706;

სკლერომეტრულიჩაქუჩი„ELCOMETER181“№11005989;

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255 ქ.თბილისი ,,მშენებლობის ნებართბის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“

სამშენებლონორმებისდაწესების-„სეისმომედეგიმშენებლობა“(პრ01.01-09)საქართველოსეკონომიკურიგანვითარებისმინისტრისბრძანება№1-1/2284. 2009წლის7ოქტომბერი,ქ. თბილისი;

სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება№ 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

სამშენებლონორმებისდაწესების-„შენობებისდანაგებობებისფუძეები“(პრ 02.01-08)საქართველოსეკონომიკურიგანვითარებისმინისტრისბრძანება№1-1/1924.2008წლის17სექტემბერი,ქ.თბილისი;

СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ- სგანახლება);

СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.



წარმოდგენილი მასალები

1 ქ. თბილისი, ძოწის ქუჩა #2 საკ.კოდი 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი – ელ-ვერსია;

1 ქ. თბილისი, ძოწის ქუჩა #2 საკ.კოდი 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში– ელ-ვერსია;

3. მომიჯნავე შენობების მონაცემები




– საკადასტრო გეგმა





ფოტომონტაჟი

კვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია: საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის კონსტრუქცია მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული

სქემითაა გაანგარიშებული. შენობის საძირკვლის კონსტრუქციული

სქემა გაანგარიშებულია რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილაზე და ტუმბოებზე

რომელიც გეოლოგიური მონაცემების მიხედვით




საპროექტო ობიექტი წარმოადგენს გეგმაში რთული მოხაზულობის 13 სართულიან შენობას, მისი გაბარიტული ზომები ღერძებს შორის 55.45×29.85 მ (`1-10*~ და `ა*-ე~ ღერძებში) და 15.55×38.65 მ (`11*-14~ და `ა**-ზ~ ღერძებში). ამასთანავე შენობის გაბარიტები და მოხაზულობები ნიშნულების მიხედვით ცვალებადია. შენობა 13 სართულიანი (აქედან ±0.000 ნიშნულის ქვემოთ 3 სართულია), მისი მაქსიმალური სიმაღლე საძირკვლის ფილის თავიდან მე-13 სართულის გადახურვის ფილის თავამდე (+31.8 მ ნიშნული) 41.1 მ-ია. ქვაბულის მაქსიმალური ჩაღრმავება - 10.35 მ-ია. შენობის საძირკველი განთავსებულია სხვადასხვა ნიშნულზე და მორგებულია სამშენებლო ტერიტორიის ზედაპირს. სართულების სიმაღლეები ცვალებადია, მიწისქვეშა სართულები და პირველი ორი სართული 3.10 მ სიმაღლისაა, მესამე და მომდევნო სართულები 3.2 მ-ია. შენობის 0 და 1 (±0.000 ნიშნულის ზემოთ) სართულზე მოწყობილია მიშენებული პარკინგი. შენობის ±0.000 შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს +589.0 (კონსტრუქციული და არქიტექტურული ნულები ურთიერთშესაბამისობაშია).

საძირკვლები წარმოდგენილია რამდენიმე დონეზე განლაგებულ საძირკველის ფილების ერთიანობით (B30 სულფატომედეგი), იმ ზონაში სადაც საძირკვლის ფილა ვერ ჯდება ძირითად ქანზე, გამოყენებულია ტუმბოები 1000×1000 მმ, რომლებიც ჩაანკერებულები არიან ძირითად ქანში მინიმუმ 1 მ-ით. შენობის `ა*~ ღერძის გასწვრივ `1-6~ ღერძების მიმდებარედ მოწყობილია ხიმინჯების რიგი, ხიმინჯების დიამეტრი 600 მ, მაქსიმალური სიგრძე 7 მ, ძირითად ქანში (ქვიშაქვა მოცისფრო-მოლურჯო, სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე =212 კგ/სმ2) მინიმუმ 2 მ ჩაანკერებით. ქვედა დონის საძირკვლის ფილის (-9.30 ნიშნული) სისქე =900 მმ; შუა დონის საძირკვლის ფილის (ნიშნული -6.20) სისქე =300 მმ, მასზე დაფუძნებულია 1 და 3-სართულიანი მოშენებები, ზედა დონის (ნიშნული +0.20) საძირკვლის ფილის სისქე =700 მმ. საძირკვლის ფილების ქვემოთ მოწყობილია ბეტონის მომზადების ფენა, სისქით =100 მმ (B25 სულფატომედეგი) შუალედური ჰიდროსაიზოლაციო რულონით. საძირკვლის ფილის ბეტონი B30 სულფატომედეგი.

სართულების დამაკავშირებელ საშუალებად მოწყობილია 2 კიბის უჯრედი და ლიფტები: კიბე-1 მდებარეობს `3-4~ `გ-დ~ ღერძებში; კიბე-2 მდებარეობს `9~ ღერძის გასწვრივ `ა-ბ~ ღერძებზე. ორივე კიბე სრულად აკავშირებს შენობის ყველა სართულს, როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა სართულებს.

პროექტში აგრეთვე გათვალისწინებულია საყრდენი კედლის მოწყობა, ცვალებადი სიმაღლით – მაქსიმუმ 5.5 მ, მინიმუმ – 2.9 მ; სისქე =300 მმ.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების თანახმად ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიური პროცესები არ მიმდინარეობს. კვლევების ანგარიშის მიხედვით საკვლევ უბანზე გამოყოფილია შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელზეც ფუძნდება შენობის საძირკველი ქვიშაქვა მოცისფრო-მოლურჯო – წინაღობა ერთღერძა კუმშვის დროს =21.4 მპა; ხვედრითი შეჭიდულობა C=0.47 კგძ/სმ2; შიგა ხახუნის კუთხე φ=32º; სიმკვრივე ρ=2.42 გ/სმ3; დეფორმაციის მოდული 2000 მპა, პუასონის კოეფიციენტი μ=0.2 (იხ. შპს `თბილინვესტპროექტი~-ს მიერ შესრულებული – ქ. თბილისი, ძოწის ქუჩა #2, ნაკვ. 01.14.01.008.096-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში; თბილისი 2023 წელი).

სამშენებლო მოედნისათვის მიღებულია:

- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/კვ.მ;
- ქარის ნორმატიული ჩქაროსნული დატვირთვა – 85 კგ/კვ.მ;
- რაიონის, მოედნის და შენობა ნაგებობის საანგარიშო სეისმურობა – 8 ბალი (სეისმური უგანზომილებო კოეფიციენტი A-0.17გ).

კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია როგორც რკინაბეტონის ჩარჩოკავშირებიანი კარკასული სისტემა, კომბინირებულ საძირკველზე. შენობის მზიდი კარკასი წარმოადგენს საძირკვლის, მონოლითური კედლების, ბირთვების, სვეტების, გადახურვის ფილებისა და რიგელების ერთიანობას, რომელთა ზომები და დაარმატურება მიღებული უნდა იყოს კონსტრუქციული გაანგარიშების მიხედვით და ნორმატიულ დოკუმენტებში მიღებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

- **ხიმინჯების რიგი** – Ø600 მმ, მაქსიმალური სიგრძე 7 მ, მინიმუმ 2 მ ძირითად ქანში ჩაანკერებით. გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8, Ø12 და Ø22 მუშა არმატურა, ბეტონი B30; შემკრავი კოჭი H =800 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500 C Ø8 და Ø18 მუშა არმატურა, ბეტონი B25.
- **საყრდენი კედელი** – H=300 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8 და Ø16 მუშა არმატურა, ბეტონი B30 სულფატმედეგი
- საძირკვლის კონსტრუქციები – ტუმბოები 1000×1000 მმ, ქვედა დონის საძირკვლის ფილა (-9.30 ნიშნული) H =900 მმ. შუა დონის მიშენებული პარკინგის საძირკვლები საძირკვლის ფილის

(ნიშნული -6.200) სისქე ჰ=300 მმ, ზედა დონის (ნიშნული +0.20) საძირკვლის ფილის სისქე H =700 მმ. გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8, Ø10, Ø12, Ø14, Ø16, Ø20, Ø22, Ø25 და Ø28 მუშა არმატურა, ბეტონი B30 სულფატომედეგი, მომზადება ბეტონი B25 სულფატომედეგი; სვეტები – განივკვეთის ზომები ცვალებადია: -9.300 -:- ±0.000 ნიშნულამდე სვე-ტები 1200×500 მმ და 500×500 მმ; ±0.000 ნიშნულიდან +3.100 ნიშნულამდე სვეტე-ბი 1000×500 მმ და 500×500 მმ კვეთისაა; +3.100 ნიშნულიდან +6.200 ნიშნულამდე სვეტები 800×500 მმ და 500×500 მმ კვეთისაა; +6.200 ნიშნულიდან +9.400 ნიშნუ-ლამდე სვეტები 800×500სმ კვეთისაა; +9.400 ნიშნულიდან +15.800 ნიშნულამდე სვეტები 600×500 მმ კვეთისაა; +15.800 ნიშნულიდან ბოლომდე +38.200 ნიშნუ-ლამდე სვეტები 500X500 მმ კვეთისაა; აგრეთვე გვხვდება ერთსართულიანი სვეტები 40×40სმ. ( ნახაზის ნომერი კ-5-28 - 29 სვეტი # 7) გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8, Ø20, Ø22, და Ø25 მუშა არმატურა, ბეტონი B30;

- მონოლითური შემომზღუდავი კედლები, დიაფრაგმები და ბირთვი – Pპერიმეტრის შემომზღუდი კედლების სისქეები -9.300 -:- +3.100 ნიშნულამდე 200 მმ, 250 მმ, 300 მმ და 500 მმ. სიხისტის ბირთვის (კიბის უჯრედის და ლიფტის შახტების კედლები) თავიდან ბოლომდე 300 მმ სისქისაა, ლიფტების გამყოფი კედელი კი ჰ=200 მმ. განივი დიაფრაგმების კვეთი იცვლება 300 მმ და 200 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8, Ø10, Ø12, Ø14, Ø16, Ø20, Ø22, Ø25 და Ø28 მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები – სისქით H =180 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8, Ø10, Ø12, Ø14, Ø16, Ø18 და Ø20 მუშა არმატურა მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- მონოლითური რიგელები – 200×500, 400×500 და 500×500 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8, Ø16, Ø18, Ø20 და Ø25 მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- კიბე – კიბის მარშებისა და ბაქნებისათვის H =180 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500 C Ø8 და Ø10 მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- პარაპეტის გულარები – 200×200 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A500ც Ø8, Ø12 და Ø14 მუშა არმატურა მუშა არმატურა, ბეტონი B30.საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია გეოლოგიური მონაცემების და კონსტრუქციული სწორი საანგარიშო სქემის მიხედვით თანდართული მასალებით, რაც
მოცემულია მუშა ნახაზებში და გათვლებში. შესაბამისად
წარმოდგენილი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი
შედგენილია და დამუშავებული სამშენებლო ნორმატივებისა და
წესების ფარგლებში.

მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთი 01.14.01.007.075 -. მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.002 - მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.098 - მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.096 - და ძოწის ,

**მომიჯნავე შენობები**




მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.002




მიწის ნაკვეთი 01.14.01.007.219




მიწის ნაკვეთი 01.14.01.007.075

ვიზუალური გამოკვლევით მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათ არ გააჩნია ჯდენითი დეფორმაციის ნიშნები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე ისინი დამოუკიდებელი კონსტრუქციის ნაგებობებია. დღეის მდგომარეობით არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) გათვალისწინებით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია და უარყოფით გავლენას არ მოახდენს მომიჯნავე შენობის მდგრადობაზე.

ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო და არსებული შენობების სამონტაჟო სამუშოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა 20 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობას სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, მათზე რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ზოგადად ბუნებრივად მოსწორებული რელიეფის მქონე ზედაპირს, მიწის ნაკვეთს უშუალო მომიჯნავე მიწის ნაკვეთები ორი მხრიდან - აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება. ხოლო დანარჩენი ორი მხირდან მისი მოსაზღვრეა საზოგადოებრივი სივრცე - ძოწის ქუჩა. მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების თანახმად ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიური პროცესები არ მიმდინარეობს. კვლევების ანგარიშის

მიხედვით საკვლევ უბანზე გამოყოფილია შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელზეც ფუძნდება შენობა: 1. სგე 2 - კლდოვანი ქანი ქვიშაქვა მაღალი სიმტკიცის (ფენა 3); რომელიც მიღებულია ფუძეებად შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით - სიმტკიცით წყალგაჯერებულ მდგომარეობაში ერთღერძა კუმშვაზე Rc=13.2კგ.ძ/სმ2 , სიმკვრივე p=2.38გ/სმ3, ხვედრითი შეჭიდულობა C=0,25 კგ.ძ/სმ2; დეფორმაციის მოდული E=310კგ.ძ/სმ2; გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მონაცემების მიხედვით, ნაკვეთზე არსებული - კლდოვანი ქვიშაქვები - მაღალი სიმტკიცის გრუნტებს მიეკუთვნება. კვლევამ აჩვენა, რომ პროექტირებისას დაცულია სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძესაძირკვლები" მუხლი 11 თ.6 P ≤ R , (6) სადაც, P საშუალო წნევის მნიშვნელობაა, კპა. R – გრუნტის საანგარიშო წინაღობა, კპა. ფუძის დეფორმაციაზე გაანგარიშების პირობები, რაც გულისხმობს, რომ საშუალო წნევა საძირკვლის ძირზე უნდა იყოს ნაკლები ან ტოლი ფუძის საანგარიშო წინააღობაზე. მოცემულ შემთხვევაში შენობის წონისგან გამოწვეული ძაბვა ფუძეში R0=1,0 კგ.ძ/სმ2, რაც გაცილებით ნაკლებია (დაახლოებით 13,2-ჯერ) ფუძის გრუნტის წინაღობვაზე - R0=13,2კგ.ძ/სმ2, ეს ნიშნავს, რომ შენარჩუნებული იქნება ფუძის მდგრადობა და შენობის მიმდებარედ/მომიჯნავედ მდებარე ობიექტებზე, შენობიდან რაიმე სახის ზემოქმედება გამორიცხულია. (ხიმინჯოვანი საძირკვლების დაფუძნების ნიშნულები შენობის განთავსების თავისებურებიდან გამომდინარე მერყეობს საპროექტო -23,5 ნიშნულიდან - 14,2 საპროექტო მიწის ნაკვეთზე, იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც თვისობრივი კონსტრუქციული წყობით მიეკუთვნება ჩარჩოვან-კავშირიან ტიპს ხისტი კვანძებით.  შენობის საძირკველი მონოლითური რკ/ბეტონის ხიმინჯოვან საძირკვლებია, რომელიც დაფუძნდება კლდოვან ქანებზე. ჩემს მიერ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე საპროექტო შენობის 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების განხილვა მოხდა განცალკევებით. კერძოდ: მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.007.219 - მასზე მდებარეობს რვასართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საპროეტო შენობისგან დაშორებულია 25,00-30,00 მეტრით. შენობა-ნაგებობებიდან, ხოლო საძირკვლების ჩაღრმავების ნიშნულებს შორისი სხვაობა 3,00 მეტრამდეა (მომიჯნავე შენობა უფრო დაბალ ნიშნულზეა), კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შენობის საძირკვლებიდან გადაცემული დატვირთვებისგან წარმოქმნილი ძაბვა ფუძეში R0=1,0კგ.ძ/სმ2-ია, რაც 13,2-ჯერ ნაკლებია არსებული მაღალზიდუნარიანი გრუნტის რეაქციაზე, (გრუნტის სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში - R0=13,2კგ.ძ/სმ2) რითაც კმაყოფილდება სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები" მე-11 თავის პუნქტი - 6; ფუძის დეფორმაციაზე გაანგარიშება გულისხმობს, რომ საშუალო წნევა საძირკვლის ძირზე უნდა იყოს ნაკლები ან ტოლი ფუძის საანგარიშო წინააღობაზე. ეს ნიშნავს, რომ შენობის ფუძე არ განიცდის დეფორმაციას, არ „ჩაითრევს" მომიჯნავე ფუძე-გრუნტებს, რითაც რაიმე სახის შეზღუდვა მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობებზე გამორიცხულია. ვინაიდან აღნიშნული პირობა

დაკმაყოფილებულია, რაიმე სახის ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის. მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.007.075 - მიწის ნაკვეთზე მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. შესასწავლი საპროექტო შენობა მას ჩრდილოეთის მხრიდან და მათ შორის მანძილი - 25ს,00 მ-ის ფარგლებშია. ასეთ მანძილზე, მიწის ნაკვეთებზე მოცემული გრუნტის პირობებში, საპროექტო შენობის მხრიდან მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელ სახლზე, რაიმე სახის უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა გამორიცხულია. მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.002 - მიწის ნაკვეთზე განტავსებული შნობა-ნაგებობებიდან ყველაზე ახლოს მდგომი შნობა საპროეტო არეალიდან დაშორებულია 30,00 მეტრზე მეტი მანძილით, გამომდინარე აქედან რაიმე სახის ზემოქმედებას გამოვიცხავ. მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.098 - მასზე შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება; მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.096 - მასზე შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება; საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული სხვა შენობა ნაგებობები, საპროექტო შენობიდან 20,00 მეტრზე მეტი მანძილით დაშორების გამო, ჩემს მიერ არ განხილულა




შენობის ქვაბულის ფერდის მდგრადობის დაკმაყოფილება.

ამისათვის ნორმების მიხედვით ქვაბული უნდა ჩაიჭრას ბუნებრივი ქანობით

ან მოეწყს ქვაბულის გამაგრების კონსტრუქციები წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით კონსტრუქტორთან შეთანხმებით

## დასკვნა

ქ. თბილისი, ძოწის ქუჩა #2 საკ.კოდი 01.14.01.008.097 მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთი მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.007.219 -მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.007.075 -. მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.002 - მიწის ნაკვეთი ს/კ

01.14.01.008.098 - მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.01.008.096 - მ და ძოწის ქუჩაზე შესაძლო გავლენის კვლევით ვადგენთ:.

მშენებარე შენობის და არსებული შენობის საძირკვლებს შორის მანძილი- ჰორიზონტალურ ჭრილში გამოთვლილია ნორმებით და დაცილება მოქმედი ნორმებით არის დაცული შენობის დაგეგმილი სამუშაოების ლოკაციის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე, 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე, უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა და ქვაბულის ფერდოები, მომიჯნავე ნაკვეთებთან მიმართებაში რაიმე სახის სხვა სპეციალური ღონისძიებების გატარებას მშენებლობის პერიოდში არ საჭიროებენ. სხვა საკითხია შენობის ქვაბულის ფერდის მდგრადობის დაკმაყოფილება.

ამისათვის ნორმების მიხედვით ქვაბული უნდა ჩაიჭრას ბუნებრივი ქანობით ან მოეწყს ქვაბულის გამაგრების კონსტრუქციები წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით კონსტრუქტორთან შეთანხმებით
.შესასრლებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა დაწესების მოთხოვნების დაცვით. მკაცრად იქნეს დაცული შრომის უსაფრთხოების წესები. უნდა შევნიშნოთ, რომ მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობა შეფასდა ვიზუალური დათვალიერებით

კვლევის ანგარიში შეადგინა:

ექსპერტი: დ.ტაბატაძე




## არსებული მდგომარეობის ფოტოსურათები






ახალი ბინები
საბურთალოზე

